პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

28 აპრილი სამშაბათი 1970 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 99 (14703)

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და გედნიერების ბურჯს, მშვიდობისა და პროგრესის საიმედო დასაყრდენს!

საკავ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებიდან.

ხუთწლეული — ვადაზე ადრე!

ქალაქ თბილისის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა ოთხი თვის გეგმა

თბილისის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, ვადამდე, 27 აპრილს შეასრულეს პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის ოთხი თვის საწარმოო გეგმა.

ლენინის საიუბილეო წლის 4 თვის განმავლობაში რეალიზებულია 30 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში (ზრდა 9,1 პროცენტი, ხოლო მთლიანი პროდუქციისა — 10,5 პროცენტი). (საქდესი).

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთიანობის მძლავრი დემონსტრაცია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება

საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატების დასახელება. რესპუბლიკის მშრომელები თავიანთ კანდიდატებად ასახელებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელ მოღვაწეებს, წარმოების მოწინავეებს, უხვი მოსავლის ოსტატებს, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ადამიანებს, რომლებმაც საქმით გვიჩვენეს ხალხის ინტერესების ერთგულება, უნარი — მტკიცედ და თანმიმდევრულად განახორციელონ პარტიის ლენინური გენერალური ხაზი.

საარჩევნო კრებები ყველგან იქცევა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობის მძლავრ დემონსტრაციად.

წინასაარჩევნო კრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, სადაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე.

ფოტო ვლ. ბინნაბურგისა.

დიდი პატრიოტული აღმავლობით

მხცოვანი მეცნიერები, რომელთა სახელები ფართოდაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ, ნიჭიერი ახალგაზრდობა, რომელიც წარმატებით უტევს მეცნიერების მწვერვალებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოსამსახურეები შეიკრიბნენ 27 აპრილს რესპუბლიკის ამ უდიდესი სამეცნიერო ცენტრის სხდომათა დარბაზში.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. ი. მუსხელიშვილმა.

სიტყვა ეძლევა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცეპრეზიდენტს, აკადემიკოს რ. რ. დვალს. მას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კოლექტივის სახელით შემოაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის თბილისის № 162 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვასილ პავლეს-ძე მეჟავანაძე.**

ამხანაგ მეჟავანაძის მოღვაწეობას, თქვა მან შემდეგ, კარგად იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, მთელი რიგი წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობს საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას. მას უჭირავს რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პასუხსაგები პოსტი და მთელ თავის ძალ-ღონეს, მთელ თავის ენერგიას იხმარს საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეს, საბჭოთა ხალხის წინაშე პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულ დიდმნიშვნელოვან ამოცანათა წარმატებით გადაწყვეტის საქმეს. ამხ. **ვ. პ. მეჟავანაძე** დიდ ყურადღებას უთმობს ქართული მეცნიერების განვითარების საკითხებს, საქართველოს მეცნიერი ყოველდღიურად გრძნობენ მის დაუცხრომელ ზრუნვას.

ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა მ. ნ. სიბაშვილმა, ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ნ. ა. ჯავახიშვილმა, კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. ვ. ჩავჩანიძემ, ი. ა. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ო. დ. ლორთქიფანიძემ.

ყველა ორატორმა აღნიშნა, რა დიდი აღმავლობით ემზადებიან რესპუბლიკის მშრომელები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მომავალი არჩევნებისათვის, ალბათ, ასევე დიდ შრომითს აღმავლობაზე, რომელიც გამოიწვია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულმა. მათ გამოთქვეს მტკიცე რწმენა, რომ ამხანაგი **ვ. პ. მეჟავანაძე** იქნება კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის ღირსეული კანდიდატი.

კრებამ მიიღო ერთსულოვანი გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის კიროვის № 162 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ვ. პ. მეჟავანაძე.**

ამხანაგი **ვ. პ. მეჟავანაძე** დეპუტატობის კანდიდატად დასახელეს აგრეთვე ქარხანა „ელექტროავტომატის“ კოლექტივმა და საქართველოს მწერალთა კავშირმა.

მაღალი ნდობა

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის სპეციალი წოდებას ატარებს, საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოა.

27 აპრილს ფაბრიკის **კლუბში** გაიმართა საწარმოს მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ხალხმრავალი კრება.

გახსნა რა კრება, საწარმოს პარტკომის მდივანმა გ. ნ. ბაკურაძემ სიტყვა მისცა ფაბრიკის დირექტორს ჯ. ბ. მამუჩაშვილს. მან ილაპარაკა საწარმოს კოლექტივის შრომითს წარმატებებზე, ამაზე, თუ როგორ იბრძვის იგი სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მომავალი არჩევნების ღირსეული შეხვედრისათვის. შეკრებილთა ტაშის გრიალში მას შემოაქვს წინადადება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის კიროვის № 678 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი** და საწარმოს მოწინავე მქსოველი **ლამარა ზაქარიას ასული ბანეთიშვილი.**

ამ წინადადებას, რომელსაც ტაშით შეხვდნენ, მხარი დაუჭირეს ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ა. გ. ცარციძემ, მოწინავე მქსოველმა ლ. მ. ვიბლიანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. ბ. სოლომონიამ, საჩითავი საამქროს უფროსმა ნ. ს. გოგუაძ, ქსოვის წარმოების უფროსმა თ. ა. მიქელაძემ. მათ ილაპარაკეს ამხანაგ **ა. ნ. კოსიგინის** დიდ დამსახურებაზე პარტიისა და ხალხის წინაშე, მის თვალსაჩინო პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეობაზე, დიდ წვლილზე მშვიდობის ყოველის საქმეში. კრებაზე გამოსულებმა გააშუქეს მოწინავე მქსოველის **ლ. ზ. ბანეთიშვილის** შრომითი გზა.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — ორჯონიკიძის № 678 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ვიქტორის ძე პოდგორნი** და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 4 მარტენის ღუმელის წარჩინებული მეფოლადე **მიხეილ პავლეს-ძე სპანდერაშვილი.**

ნ. ვ. პოდგორნისა და **მ. პ. სპანდერაშვილის** კანდიდატურები მხურვალედ მოიწონეს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე.

* * *

ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკა. 27 აპრილს ჩვეულებრივი სამუშაო დღეა საწარმოში და მაინც იგი განსხვავდება სხვა დღეებისაგან. მკერავები თავიანთ წინასაარჩევნო კრებაზე იხილავენ სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში თავიანთი წარმომადგენლების კანდიდატურებს.

სიტყვა ეძლევა პირველი სამკერვალო გაერთიანების პარტკომის მდივანს მ. კანდარიას. მან საწარმოს კოლექტივის სახელით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქუთაისის № 686 საარჩევნო ოლქში დასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დიმიტრი სტეფანეს-ძე პოლიანსკი.** ორატორმა ამხანაგი **დ. ს. პოლიანსკი** დაახასიათა როგორც თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე.

საწარმოს კოლექტივმა გადაწყვიტა დეპუტატობის კანდიდატად ამავე ოლქში დასახელოს წარმოების მოწინავე მკერავი **მედეა თომას ასული ვახტანგაძე.**

კრებამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად ქუთაისის № 686 საარჩევნო ოლქში დასახელონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის ქუთაისის № 680 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი** და ფაბრიკის მოწინავე მქსოველი **ლამარა ზაქარიას ასული ბანეთიშვილი.**

ამხ. **ა. ნ. კოსიგინისა** და ამხ. **ლ. ზ. ბანეთიშვილის** კანდიდატურები დასახელეს აგრეთვე. თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო ფაბრიკის კოლექტივის საარჩევნო კრებაზე.

სალხის კანდიდატები

ხალხმრავალი წინასაარჩევნო კრება გაიმართა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები ერთსულოვანი ტაშით შეხვდნენ ქარხნის დირექტორის ს. ა. შარაძენიძის წინადადებას, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთავის № 688 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დიმიტრი სტეფანეს-ძე პოლიანსკი.** ორატორმა ამხანაგი **დ. ს. პოლიანსკი** დაახასიათა როგორც თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე.

— ჩვენი საწარმოს კოლექტივს, — თქვა მან, — წილად ხვდა დიდი პატივი ერთ-ერთმა პირველმა ავტონომიურ რესპუბლიკაში დასახელოს საბჭოთა ფედერაციის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატები. ჩვენი ქარხნის კოლექტივის სახელით წინადადება შემოაქვს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბათუმის № 680 საარჩევნო ოლქში დავასახელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **დიმიტრი სტეფანეს-ძე პოლიანსკი.**

ტრიბუნაზეა საამწყობო საამქროს მეგრაგნილე ი. ბილოგოროდსკაია. მან თქვა:

— გულწრფელად, მთელი გულითა და სულით ვეუჭერ მხარს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის კანდიდატურას და შემომაქვს წინადადება ამავე ოლქში დეპუტატობის კანდიდატად დავასახელოთ ალეკსეევ ჩვენი ქარხნის საამწყობო საამქროს კოჯრების მეგრაგანილი **მერი სულეიმანის ასული წინარიძე.**

ჩვენ ვიცნობთ მას როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მეგრაგნილეს და აქტიურ საზოგადო მუშაკს.

დასახელებულ კანდიდატურებს ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი საამქროს უფროსმა ნ. ფედორიდმ, მუშამ ტ. გერასიმამ, ზეინკლის მ. ბიბილაურმა, მუშამ მ. მოისეენკომ და სხვებმა.

საარჩევნო კრებამ ერთსულოვნად მიიღო დადგენილება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად **ნ. ვ. პოდგორნი** და **ალექსანდრეს** ... **ბ. ვ. ბანეთიშვილი.**

ბ. ვ. ბანეთიშვილის კანდიდატურა ... ორჯონიკიძის № 678 საარ. ... ჩვენო ოლქში დასახელონ სკკპ ... ცენტრალური კომიტეტის პოლიტ... ბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინ... ისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ალექსი ნიკოლოზის-ძე კოსიგინი** და საწარმოს მოწინავე მქსოველი **ლამარა ზაქარიას ასული ბანეთიშვილი.**

ამ წინადადებას, რომელსაც ტაშით შეხვდნენ, მხარი დაუჭირეს ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ა. გ. ცარციძემ, მოწინავე მქსოველმა ლ. მ. ვიბლიანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ე. ბ. სოლომონიამ, საჩითავი საამქროს უფროსმა ნ. ს. გოგუაძ, ქსოვის წარმოების უფროსმა თ. ა. მიქელაძემ. მათ ილაპარაკეს ამხანაგ **ა. ნ. კოსიგინის** დიდ დამსახურებაზე პარტიისა და ხალხის წინაშე, მის თვალსაჩინო პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეობაზე, დიდ წვლილზე მშვიდობის ყოველის საქმეში. კრებაზე გამოსულებმა გააშუქეს მოწინავე მქსოველის **ლ. ზ. ბანეთიშვილის** შრომითი გზა.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს დეპუტატობის კანდიდატებად თბილისის — ორჯონიკიძის № 678 საარჩევნო ოლქში დასახელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნიკოლოზ ვიქტორის ძე პოდგორნი** და რუსთავის მეტალურგიული ქარხნის № 4 მარტენის ღუმელის წარჩინებული მეფოლადე **მიხეილ პავლეს-ძე სპანდერაშვილი.**

ნ. ვ. პოდგორნისა და **მ. პ. სპანდერაშვილის** კანდიდატურები მხურვალედ მოიწონეს მადნეულის სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში გამართულ წინასაარჩევნო კრებაზე.

* * *

27 აპრილს გაიმართა ბათუმის ქარხანა „ელექტროსელსაწყოს“ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საარჩევნო კრება.

კრება გახსნა პროფკავშირის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ს. სტარანტკომ. მან სიტყვა მისცა ქარხნის დირექტორს შ. ჭილაიას.

— ჩვენ ბედნიერ ადამიანებად ... ...

რუსთავის ქიმიური ობიექტების მშენებლობაზე

შეფერხება დამკვეთის მიზეზით

რუსთავის ქიმიურ კომბინატს ყოველწლიურად ემატება ახალი საამქროები და უბნები, იქმნება ახალ-ახალი ქიმიური პროდუქტები. კაპროლაქტამის, ხელოვნური ბოჭკოს, ამიაკისა და სხვა პროდუქციის მიღების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა კარბამიდის მიღების საკითხი. საამქროს ასაგებად მშენებლობა ფართოდ გაიშალა. სხვანაირად არც შეიძლებოდა— ამ საწარმოს აგება ხუთწლიან გეგმაში შეტანილია როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტი.

რა არის კარბამიდი? რატომ დგას ამ ახალი საამქროს მშენებლობის საკითხი ასე სერიოზულად? რა მდგომარეობაშია იგი ამჟამად?

კარბამიდი მინერალური სასუქია, რომელიც მეტად საჭიროა სოფლის მეურნეობისათვის. იგი ყველაზე ეფექტური ქიმიური სასუქია ნიადაგის განოყიერებისათვის და ძლიერი საშუალება — ნათესებში მავნებელთა გასანადგურებლად.

მშენებლობა დამთავრების პროცესშია. გრაფიკის მიხედვით მშენებელ-მემონტაჟეების საამქრო საექსპლოატაციოდ აპრილის ბოლოსათვის უნდა გადაეცათ. არსებული მდგომარეობა ნათლად მეტყველებს, რომ დათქმულ ვადაში საამქრო ვერ ამოქმედდება. აქ მშენებელ-მემონტაჟეებს ჯერ კიდევ დიდი მოცულობის სამუშაოები აქვთ შესასრულებელი, რომელთა დამთავრება დარჩენილ დღეებში ყოვლად შეუძლებელია. მშენებელ-მემონტაჟეებსა და ქიმიკოსებს, მართალია, წვრილმანი, მაგრამ მრავალი რთული საკითხი აქვთ გადასაჭრელი.

დიახ, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ აღნიშნული საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემის დასაჩქარებლად შეიქმნა მშენებლობის ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბი, რომლის ხელმძღვანელობა ქიმიური კომბინატის მთავარ ინჟინერს გ. გოგოლაძეს დაევალა.

ყოველდღიურმა ოპერატიულმა ხელმძღვანელობამ თავისი შედეგი გამოიღო. გაიზარდა მშენებლობის ტემპი, გამრავლდა მუშახელი, მკვეთრად ამაღლდა სამშენებლო და სამონტაჟო სამმართველოთა უფროსების პასუხისმგებლობა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოპერატიული შტაბის ხელმძღვანელობა ზოგჯერ ოპერატიულს არა ჰგავს, დიდი დრო იკარგება ცალკეულ სამმართველოთა ხელმძღვანელებს შორის უსაფუძვლო დავაში. ეს უნდა აღიკვეთოს, ხელმძღვანელობა უფრო კონკრეტული, საქმიანი უნდა გავხადოთ.

კარბამიდის საამქროსათვის კორპუსის მშენებლობა დამთავრებულია. დამონტაჟებულია მანქანა-დანადგარები. ახლა მიმდინარეობს მათი ტექნოლოგიური გამოცდა.

ერთ-ერთ ძირითად ობიექტს ამჟამად აქ სინთეზისა და დისტილაციის განყოფილება წარმოადგენს. აქ უნდა მოხდეს ძირითადი პროდუქციის — კარბამიდის ხსნარის მიღება მაღალი წნევით. იმისათვის, რომ ამ განყოფილებაში აამოქმედონ ტექნოლოგიური ხაზი, საჭიროა სამუშაო მდგომარეობაში იყოს კომპრესორები და მაღალი წნევის ტუმბოები. შედგენილი გრაფიკის მიხედვით ერთი კომპრესორი 22 აპრილისათვის უნდა გადაეცათ საექსპლოატაციოდ, მაგრამ მისი ამუშავება ვერ შეძლეს იმის გამო, რომ მშენებელ-მემონტაჟეებმა ვერ მოახერხეს მაღალი ძაბვის ხაზის ჩართვა სისტემაში.

ვინ არის ამაში დამნაშავე? დამკვეთი ორგანიზაცია — ქიმიური კომბინატი. მომარაგების მუშაკებმა ვერ უზრუნველყვეს მემონტაჟეებისათვის მიეცათ მაღალი ძაბვისათვის საჭირო დეტალები და მილები, თუმცა ეს საკმაო ხნის წინათ იცოდა დამკვეთმა ორგანიზაციამ.

ჭიანურდება აგრეთვე ოცი ტექნოლოგიური ხაზის მონტაჟი, იმის გამო, რომ მემონტაჟეებს არ გააჩნიათ 24 ცალი მოლიბდენის სპეციალური გადასასვლელები. ეს კი საბოლოოდ აფერხებს ტექნოლოგიური ხაზის მექანიზმების გამოცდას.

ოპერატიული ხელმძღვანელობის შტაბის სხდომაზე იყო ამის თაობაზე ლაპარაკი. გამოირკვა, რომ დამკვეთ ორგანიზაციას ზემოაღნიშნული გადასასვლელები შემოუწიდავს, მაგრამ ისინი უვარგისი აღმოჩნდა. როცა ასეთ ზუსტ დეტალებთან გვაქვს საქმე, როცა მასალები შემოგვაქვს, მეტი სიფრთხილე და მოთმხოვნელობა უნდა გამოვიჩინოთ, მომწოდებლებისადმი.

შეუწყნარებლად ჭიანურდება აგრეთვე კომპარსორების ცივი გამოცდა იმის გამო, რომ ჩართული არ არის მაღალი ძაბვის დენი.

სამართლიანი პრეტენზიები გამოთქვა ტრესტ „ორგხიმის“ (უფროსი ე. ზიბაცეი) მისამართით. ამ ორგანიზაციას ფართო ფრონტით არა აქვს გაშლილი მუშაობა, მაშინ როცა მექანიზმების ამოქმედებისათვის ყველაზე დიდ მოცულობის სამუშაოები მას აქვს შესასრულებელი. „ორგხიმმა“ თუ შრომის ტემპი არ გააძლიერა და მოკლე დროში ჩამორჩენა არ გამოასწორა, ცხადია, დიდად შეფერხდება და კვლავ დაიგვიანებს საამქროს საექსპლოატაციოდ გადაცემა.

ნელი ტემპით მიმდინარეობს საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების მონტაჟი და გამართვა. ესეც დამკვეთი ორგანიზაციის ქიმიური კომბინატის მიზეზით. არ იქნა და მემონტაჟეებმა ვერ მიიღეს მაღალი ძაბვის დენის 16 ცალი განმანაწილებელი.

საჭიროა დაჩქარდეს საქვაბის საექსპლოატაციოდ გადაცემაც. აქ კი ნამდვილად სცოდავს საქმონტაჟეს №2 სამმართველო (უფროსი თ. ჯაფარიძე). როგორც ჩანს, მემონტაჟეები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან საქმეს. ეს იქიდან ჩანს, რომ ეს ობიექტი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან უნდა ჩაბარებინათ, დღესაც არ არის მზად, მთელი რიგი წვრილმანი საქმეები მოსათავებელია.

ოპერატიულ თათბირზე „მონტაჟთერმოზოლაციის“ სამმართველოს (უფროსი გ. ჩიჩუა) მიეთითა, გააფართოოს სამუშაო ფრონტი იმ ანგარიშით, რომ აპრილის ბოლოსათვის მთლიანად დაამთავროს თერმოსაიზოლაციო სამუშაოები. მემონტაჟეებს, როგორც შესრულებული სამუშაოებიდან ჩანს, მუშაობის ტემპი დაუჩქარებიათ, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ეს კი, რა თქმა უნდა, აფერხებს საერთო მშენებლობას.

გრაფიკის მიხედვით სახარბიელოდ ვერა აქვთ საქმე „იუსტალ-კონსტრუქციისა“ და „საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველოებს (უფროსები ი. თოფურია, ა. კიკნაძე). აღნიშნულმა ორგანიზაციებმა უთუოდ უნდა გააძლიერონ მუშაობის ტემპი, თორემ მათი მიზეზით დიდად დაირღვევა ობიექტის ჩაბარების ვადა.

ოპერატიულმა თათბირმა მშენებელ-მემონტაჟეებს დაუწესა, რომ პირველ მაისამდე უნდა ჩააბარონ 47 დასახელების სამუშაო. შემოწმებით დადასტურდა, რომ 24 აპრილისათვის ჩაბარებული იყო ზუსტად 10. აქედან აშკარაა, რომ ჩასაბარებელ უბნებზე სამუშაოები ნელა მიმდინარეობს.

ასეა თუ ისე, კარბამიდის საამქროს მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. საჭიროა ქიმიკოს-სპეციალისტები. რა მდგომარეობაა ამ მხრივ? არადამაკმაყოფილებელი. მართალია, მონათესავე საწარმოებში დროზე გაგზავნეს და მოამზადეს 32 კაცი, მაგრამ ეს სანახევროდაც ვერ დააკმაყოფილებს საამქროს მოთხოვნილებას. საამქრო ალბათ მალე ამუშავდება, კადრები კი საკმარისი არა მყავს. ქიმიური კომბინატის ხელმძღვანელობამ ამთავითვე უნდა მიიღოს გადამჭრელი ზომები, წინააღმდეგ შემთხვევაში მუშახელის ხელახლა ბის გამო შეიძლება საამქროს მუშაობა შეფერხდეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. პარალელურად დაიწყო საწარმოს ტერიტორიისა და ქუჩების კეთილმოწყობა. ამ საკითხებზე ოპერატიულ თათბირზეც იქნა უყურადღება გამახვილებული.

ოპერატიულ თათბირზე წინა პლანზე იყო მუშათა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხიც. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა. ახლახან საამქროს ახლოობლად გაიხსნა ბუფეტი, წარმოეს დატარებითი ვაჭრობა, ახლო მომავალში გაიხსნება მუშათა ახალი სასადილო.

მშენებლობის ვადები იწურება. როგორც დამკვეთმა, ისე მშენებელ-მემონტაჟეებმა მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ ყველა რეზერვი და შესაძლებლობანი იმისათვის, რომ რუსთავის დიდი ქიმიის ობიექტების მწყობრში დროულად ჩაიყენონ კარბამიდის საამქრო.

ზ. ჯაბასპიშვილი,
ზ. მერკვილაძე.

ლითი დღე სულ უფრო ფართოდ ჩაღდება წინასაარჩევნო მზადება. თბილისის № 2 ავტომემკეთებელი ქარხნის აგიტკოლექტივსაც, აქაურ აქტივისტებს მეტი საზრუნავი გაუჩნდათ. აი მათი ერთი ჯგუფი (სურათზე, მარჯვნიდან): კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. ჭაუასელი, ტექნიკური განყოფილების გამგე გ. მუსხელიშვილი, ეკონომისტი ლ. ქუტაშვილი და ზეინკალი ზ. ზაკატოვი.

ფოტო ბ. გოგოხიასი.

ინფორმაციისათვის

საქალაქო თათბირზე

ფოთი (საკ. კორ.). შავიზღვისპირა ამ ქალაქ ფოთში დიდი მზადებაა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის. შეიქმნა 20 ამომრჩეველთა კლუბი, რომლებიც გააფორმეს პლაკატებით, ლოზუნგებით, შეარჩიეს საარჩევნო ლიტერატურა.

ქალაქში საგიტაციო მუშაობას ეწევა 500-ზე მეტი აგიტატორი. გიმართა აგიტატორების, აგიტპუნქტების გამგეების, პოლიტინფორმატორების, პროპაგანდისტებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნების საქალაქო თათბირი.

ამომრჩეველთა ახალი კლუბები

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). რაიონში შექმნილია 10 აგიტპუნქტი და 4 ამომრჩეველთა 12 კლუბი. გიმართა აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, აგიტპუნქტების და ამომრჩეველთა კლუბების გამგეების თათბირსემინარი.

ამომრჩეველთა ახალი კლუბები შეიქმნა სოფელ ნერგეეთში, მეორე ობჩის სასოფლო საბჭოში და წყალთაშუას რვაწლიან სკოლაში, რომლებიც უკვე შეუდგნენ მუშაობას. ბევრი ამომრჩეველი იყრის თავს ამ დღეებში დიმის ამომრჩეველთა კლუბში, რომელსაც ამ სოფლის პირველი საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გ. კოხოძე უძღვება. მოწინავეა აგრეთვე მაღალმთიან სოფელ საკრაულას აგიტპუნქტი, რომლის გამგედ სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ბ. კიკნაველიძე მუშაობს.

საბრძოლო გზა

„საქართველოს კომუნისტი“ 40 წლისაა

ჟურნალ „საქართველოს კომუნისტს“ 40 წელი შეუსრულდა. მისი პირველი ნომერი „ბოლშევიკის“ სახელწოდებით 1930 წლის აპრილში გამოვიდა. ამ ნომრის მოწინავე სტატიაში „ჩვენი ამოცანები“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განსაზღვრა თავისი თეორიული და პოლიტიკური ჟურნალის მოვალეობა — გაეშუქებინა „საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკა მარქსიზმ-ლენინ ზ მ ი ს თვალსაზრისით“. და „საქართველოს კომუნისტიც“ დღემდე მტკიცედ, გაბუხრელად ასრულებს ამ სახელმძღვანელო მითითებას.

რა თქმა უნდა, სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკამ წლების მანძილზე მრავალი ახალი პრობლემა და ამოცანა დასახა. ამის შესაბამისად ჩვენი პარტია მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითად მომარჯვებით იმუშავებდა კონკრეტულ ღონისძიებებს. პარტიის პოლიტიკური კურსის განხორციელებისათვის ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეჰქონდა პარტიულ და საბჭოთა პრესას, მათ შორის ჟურნალ „საქართველოს კომუნისტს“. მისი მთელი საბრძოლო გზა განუყრელად დაკავშირებულია საქართველოს კომპარტიის ბრძოლასთან სკკპ გენერალური ხაზის განხორციელებისა თ ვ ი ს, დიდი ლენინის ანდერძის შესრულებისათვის — ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის. ჟურნალში გამოქვეყნებული მრავალფეროვანი მასალები ნათელ წარმოდგენას იძლევა საქართველოს პარტიული ორგანიზაციების, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა იმ სახელოვან და თანმიმდევრულ საქმიანობაზე, რასაც ისინი ეწეოდნენ საბჭოთა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის ლენინურ წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის.

ამჟამად „საქართველოს კომუნისტის“, ისევე როგორც მთელი ჩვენი პარტიისა და ხალხის საქმიანობას საფუძვლად უდგას სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები. ჟურნალის ყურადღების ცენტრშია სკკპ პროგრამის, პარტიისა და მთავრობის სადირექტივო მითითებებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის იმ აქტუალური პრობლემების პროპაგანდა, რომლებიც დაკავშირებულია სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლასთან, კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდასთან.

ჟურნალი აშუქებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საქართველოს კომპარტიის ისტორიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, პოლიტიკური ეკონომიისა და კონკრეტული ეკონომიკის, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის, სსრ კავშირში კომუნიზმისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის, საბჭოთა ადამიანების კომუნისტური აღზრდის უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

„საქართველოს კომუნისტი“ შეიმუშავებითად განაზოგადებს რესპუბლიკაში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გამოცდილებას, ღრმად იკვლევს ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დაყენებულ საზოგადოებრივი განვითარების საკითხებს, აქტიურად ეხმარება საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირულ, კომკავშირულ და მშრომელთა სხვა მასობრივ ორგანიზაციებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

ჟურნალი სისტემატურად აშუქებს პარტიის ძირეული რგოლების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, პარტიული კომიტეტების, სახალხო კონტროლის ორგანოების, სასოფლო და რაიონული საბჭოებისა და პროფკავშირების მუშაობას; „საქართველოს კომუნისტი“ ეხმარება მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემსწავლელთ, პროპაგანდისტებს, ლექტორებს, პარტიული განათლების სისტემაში გაერთიანებულ მსმენელებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს. იგი ყურადღებით ეკიდება აგრეთვე კულტურის, ყოფაცხოვრების, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხების გაშუქებას, დიდ ადგილს უთმობს წიგნებზე რეცენზიების გამოქვეყნებას, ჟურნალ-გაზეთების მიმოხილვებს.

პარტიული მუშაკების, კომუნისტების, პროპაგანდისტების მოწინებით სარგებლობს სერია სტატებისა პარტიული მშენებლობის და პარტიული მუშაობის პრაქტიკის პრობლემების შესახებ. ეს სტატიები ჟურნალში ქვეყნდება რუბრიკით „პარტიულ მუშაკთა დასახმარებლად“.

პარტიული მშენებლობის, პარტიული ცხოვრების თეორიული და პრაქტიკული საკითხების ჯეროვნად და შემოქმედებითად გაშუქების საქმეში ჟურნალის მიერ გაწეულ ნაყოფიერ მუშაობაზე მეტყველებს ის საუკეთესო შეფასება, რაც მას მისცა ცენტრალურმა ჟურნალმა „პარტიინაია ჟიზნმა“ (№ 24, 1968 წ.). თავის სპეციალურ მიმოხილვაში.

რედაქციის კოლექტივი მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდა საბჭოთა პრესის ღრმა და შთამაგონებელი თემის — საიუბილეო ლენინიანის ასახვა-გაშუქებას. მასალებს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი იდეური მემკვიდრეობის, მთელ მსოფლიოში ლენინიზმის იდეების დამკვიდრების შესახებ ჟურნალი წინათაც რეგულარულად აქვეყნებდა, მაგრამ, ბუნებრივია, წინასაიუბილეო პერიოდში ეს მუშაობა განსაკუთრებით აქტიურად წარიმართა. ჯერ კიდევ 1968 წლის პირველ ნახევარში შემოვიღეთ რუბრიკა „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის“. ამ რუბრიკით გამოქვეყნებულ მრავალ მასალაში ჟურნალი შეეცადა ყოველმხრივ გაეშუქებინა ლენინური თემა, ეჩვენებინა ლენინი, როგორც გენიალური თეორეტიკოსი და პროლეტარული რევოლუციის ბელადი, ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი და ხელმძღვანელი, მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ შეურიგებელი, ბოლომდე თანმიმდევრული მებრძოლი.

ამ ციკლის მასალებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია თეორიული სტატიები: „ვ. ი. ლენინი შემეცნების კონკრეტულობის შესახებ“ (№ 1, 1968 წ.), „ლენინური იდეების გავრცელება საქართველოში“ (№ 10, 1968 წ.), „ლენინი ომისა და მშვიდობის შესახებ“ (№ 12, 1969 წ.), „ვ. ი. ლენინი და ესთეტიკის საკითხები“ (№ 4, 1969 წ.), „ვ. ი. ლენინი ეკონომიური კანონების შეცნობისა და გამოყენების შესახებ“ (№ 2, 1970 წ.), „ვ. ი. ლენინი და ადამიანის პრობლემა“ (იქვე), „ვ. ი. ლენინი ახალი ტიპის პარტიის მშენებლობის პრინციპების შესახებ“ (№ 4, 1970 წ.), „მახიზმის ლენინური კრიტიკა თანამედროვე იდეალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის იარაღია“ (№ 2, 1970 წ.) და სხვ.

რედაქციის კოლექტივი ლენინიანის გაშუქებისას გულისყურით მოეკიდა თემებს: „ლენინი და ახალგაზრდობა“, „ლენინი და ხალხი“, „ლენინი საქართველოს შესახებ“, „საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრება“.

დიდი იუბილეს შესახვედრად, „საქართველოს კომუნისტის“ ნაყოფიერი საქმიანობა სანიმუშოდ განაზოგადა ცენტრალურმა ჟურნალმა „კომუნისტმა“ (№ 16, 1969 წ.).

„საქართველოს კომუნისტი“ თავის მასალებს მჭიდროდ უკავშირებს ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკას. ამ მასალებში მკაფიოდ არის წარმოდგენილი კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შრომითი წარმატებები, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის მათი თავგადადებული ბრძოლის მდიდარი გამოცდილება, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის კონკრეტული მოწინავე ფორმები და მეთოდები. ფართოდ აშუქებს რა ყოველივე დადებითს, მოწინავეს, პროგრესულს, ჟურნალი ამავე დროს ამხილებს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს, უჩვენებს მათი დაძლევის გზებსა და საშუალებებს.

ხალხთა ლენინური მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით საბჭოთა ადამიანების აღზრდას ხელს უწყობენ მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ სოციალიზმის ქვეყნების ცხოვრებაზე, მოძმე კომუნისტური პარტიების მოღვაწეობაზე.

პარტიისა და ჩვენი ხალხის მჩქეფარე შემოქმედებითი ცხოვრების ყოველმხრივ ასახვაში რედაქციის კოლექტივის დიდ დახმარებას უწევს ავტორთა აქტივი. რედაქცია ხისტემატურად აფასებს და განამტკიცებს კავშირს მკითხველებთან, საამისოდ იყენებს სხვადასხვა ნაცად ფორმებს. ჟურნალი გამოირჩევა რუბრიკებისა და განყოფილებების მრავალფეროვნებით, რაც მკითხველებს უადვილებს მათთვის საინტერესო მასალების მიგნებას. მუდმივ განყოფილებებთან ერთად შემოღებული გვაქვს რუბრიკები: „საბჭოთა მშენებლობა“, „ეკონომიურ თემაზე“, „ლექცია და კონსულტაცია“, „პარტიული სწავლების სისტემისათვის“, „საპრობლემო თეორიული სემინარები“, „პროპაგანდისტული მუშაობის მეთოდიკა და პრაქტიკა“, „ათეისტის ტრიბუნა“ და სხვ. ჟურნალს თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს ჩვენი რესპუბლიკის საუკეთესო სამეცნიერო ძალები, უმაღლესი სასწავლებლების ლექტორები და სამეცნიერო დაწესებულებების თანამშრომლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

სარედაქციო კოლეგიას ღრმად აქვს შეგნებული, რომ ჟურნალის მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. „საქართველოს კომუნისტის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული ყველა მასალა რიდი აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნებს, სამეურნეო და პარტიული მშენებლობის მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები ჯერ კიდევ ვერ პოულობენ სათანადო ასახვას, ზოგიერთი აქტუალური თემა მხედველობიდან გვრჩება.

რედაქციის კოლექტივი შეუპოვრად, შემოქმედებითად ეძიებს საშუალებებს, ახალ ფორმებსა და მეთოდებს იმისათვის, რომ გახადოს ჟურნალი უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი, გააძლიეროს მისი, როგორც საქართველოს კომუნისტთა აქტიური და მებრძოლი თანაშემწის როლი კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის ბრძოლაში.

შ. გაგოშიძე,
ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიებში

მიღებულია გადაწყვეტილება საფუძვლების პროექტი გამოქვეყნდეს გაზეთებში „იზვესტიაში“, „სელსკაია ჟიზნში“, „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიასა“ და რესპუბლიკურ გაზეთებში საზოგადოებრივი განხილვისათვის.

კომისიები განიხილავენ შენიშვნებსა და წინადადებებს, რომლებსაც მიიღებენ კანონპროექტის განხილვის შედეგად, რის შემდეგ გათვალისწინებულია საფუძვლების პროექტის შეტანა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში.

ყველა შენიშვნა და წინადადება საფუძვლების პროექტის გამო უნდა გაიგზავნოს მისამართით: მოსკოვი, კრემლი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამდივნო.

საკდესის ცნობა

1970 წლის 24 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-335“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. (საკდესი).

1970 წლის 25 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები „კოსმოს-336“, „კოსმოს-337“, „კოსმოს-338“, „კოსმოს-339“, „კოსმოს-340“, კოსმოს-341“, „კოსმოს-342“, „კოსმოს-343“.

რვავე თანამგზავრი ორბიტაზე გაყვანილია ერთი მატარებელი რაკეტით.

თანამგზავრებზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

რვავე თანამგზავრი მოძრაობს გაანგარიშებულთან დაახლოებული ორბიტებით, რომელთა დაწყებითი პარამეტრებია:

მიმოქცევის პერიოდი — 115 წუთი;

მაქსიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (აპოგეა) — 1500 კილომეტრი;

მინიმალური მანძილი დედამიწის ზედაპირიდან (პერიგეა) — 1400 კილომეტრი;

ორბიტის დახრილობა — 74 გრადუსი.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრებზე არის: რადიოსისტემები ორბიტის ელემენტების ზუსტი გაზომვისათვის; რადიოტელემეტრიული სისტემები, რომლებიც დედამიწაზე გადმოსცემენ მონაცემებს ხელსაწყოებისა და სამეცნიერო აპარატურის მუშაობის შესახებ.

თანამგზავრებზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

„კომუნისტის“ სიგნალის შედეგ

ქ. ზუგდიდის საოლმეურნეო ბაზრის ნაკლოვანებებს ეხებოდა ჩვენი გაზეთის 26 მარტის ნომერში დაბეჭდილი ბ. ალშიბაიას სიგნალი, რომლის გამო ზუგდიდის საქალაქო საბჭოს აღმასკომი რედაქციას ატყობინებს:

წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომს 1971 წლის გეგმით გათვალისწინებული აქვს საოლმეურნეო ბაზრის პირუტყვის გასაყიდი მოედნის გაფართოება, რითაც აღკვეთილი იქნება გეგეჭკორის ქუჩაზე მოძრაობის შეფერხება.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲓᲛᲘᲕ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲔᲑᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს სოფლის მეურნეობის კომისიებმა საკანონმდებლო განზრახულობათა, მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისიებთან ერთად მოამზადეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი.

□ □ □

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲘᲓᲘᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲜᲔᲓᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲠᲬᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ

ᲩᲘᲮᲘᲢᲐᲣᲠᲘᲡ რაიონის მეჩაიეები წლიათიწლობით ზრდიან ჩაის მოსავალს. ეს რაიონი ჩაის ერთ-ერთი დიდი მწარმოებელი გახდა. წელს კი 7.020 ტონა ხარისხოვან ჩაის ფოთოლს მიაყიდიან სახელმწიფოს ნაცვლად შარშან მოკრეფილი 6.520 ტონისა. ჩოხატაურელები საუკეთესოდ მოემზადნენ სეზონისათვის. მოწინავე კოლმეურნეობებში ყველა რეზერვები გამოიყენეს ჩაის ფოთლის კრეფის ორგანიზებულად დაწყებისათვის.

სოფელ ქვენობნის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე ქსენია მახარაძე) მეჩაიეები მზად არიან წელს მოკრიფონ 410 ტონა ნედლეული, რაც 45 ტონით მეტია შარშანდელ მოსავალთან შედარებით. ფოთლის კრეფის სეზონს ორგანიზებულად შეხვდნენ და ჩაის მაღალ მოსავალს გვპირდებიან ამ კოლმეურნეობის ის ბრიგადები, რომლებსაც ბ. ლომაძე, კ. ჭანტურია ხელმძღვანელობენ. ჩაის მაღალი მოსავლისათვის მებრძოლი კოლმეურნეები ხ. ნიკოლაიშვილი, რ. ლომთათიძე, რ. თავართქილაძე, ლ. ნიკოლაშვილი, თ. კუტუბიძე, ე. კალანდაძე, თ. მათითაშვილი, გ. თედორაძე გვპირდებიან, რომ წელს სარეკორდო მოსავალი მიიღონ.

სეზონს მომზადებული შეხვდნენ ვანის, ჩაისუბნის, გორა-ბერეეულის, შუაგანახლების, ბასილეთის, ჩხაკურასა და სხვა კოლმეურნეობები.

მაგრამ ასე როდი ითქმის სოფელ ზემო ხეთის კოლმეურნეობაზე. აქ არა მარტო წელს, არამედ საერთოდ დიდ ინტერესს არ იჩენენ ჩაის უხვი მოსავლისათვის, არ იყენებენ საკოლმეურნეო წარმოების რეზერვებს. ჩაის ფოთლის კრეფა მალე დაიწყება და აქ კი მზად არ არიან სეზონისათვის. კოლმეურნეობის ხელმძღვანელები (გამგეობის თავმჯდომარე ი. თალაკვაძე, პარტბიუროს მდივანი გ. კოტრიკაძე) ქმედითს ზომებს არ იღებენ.

მსგავსი მდგომარეობაა სოფელ ხეკის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ჩახტლაძე).

ზოგან ჩაის მიმღები პუნქტი მზად არ არის ფოთლის მისაღებად. მაგალითად, სამების, ხიდისთავის, საჭამიასერის, ზომლეთის, ბუკნარის კოლმეურნეობებში არსებული პერიფერიული პუნქტები ჯერაც არ არის შეკეთებული.

ჩოხატაურელ მეჩაიეებს ისე, როგორც მახარაძელებს, ლანჩხუთელებს, ერთი სატკივარი აქვთ — აკლიათ სულ მცირე 300 ცალი 20 კილოგრამიანი სასწორი. არა აქვთ აგრეთვე საწვიმრები.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ჩაის კრეფის სეზონში ფოთლის ტრანსპორტირებისათვის აკლიათ 20 სატვირთო ავტომანქანა. ავტოსატრანსპორტო კანტორა ადგილზე არსებული მანქანებით ვერ გასწვდება ჩაის ფოთლის გადაზიდვის სამუშაოებს.

სანამ გვიან არ არის, ყოველი ღონისძიებით უნდა უზრუნველყოთ ნაკლოვანებათა გამოსწორება.

რ. სალუქვაძე,
საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის მრეწველობისა და ტრანსპორტის განყოფილების გამგე;

ა. მენაღარიშვილი,
ლანჩხუთის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი;

ა. დევიძე,
ჩოხატაურის რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარი აგრონომი;

ა. კალანდარიშვილი,
„საქსოფლტექნიკის“ ლანჩხუთის განყოფილების უფროსი,

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲕᲘᲜ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲛᲬᲕᲐᲜᲔ ᲤᲝᲗᲚᲘᲡ ᲙᲠᲔᲤᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ?

სანამ გვიან არ არის

აკლიათ სასწორები, საბურავები, საწვიმრები. დიდი თანხები დიხარჯება — ფაბრიკას კი წყალი არა აქვს.

ᲛᲐᲮᲐ

მსოფლიო ღღეს

ჩეხოსლოვაკია

გ. ჰუსაკის გამოსვლა

დაარსდა ახალი ორგანიზაცია

ბრატისლავა, 27 აპრილი. (საკდესი). **აქ გაიმართა სრულიად სლოვაკიის კონფერენცია, რომელზეც დაარსდა ახალგაზრდობის ახალი ორგანიზაცია — სლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირი.** მიღებულია კავშირის წესდება, რომელშიც ნათქვამია, რომ სლოვაკიის ახალგაზრდობის სოციალისტურ კავშირს საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის აღიარება. თავის საქმიანობაში კავშირი გამოიყენებს სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის ორგანიზაციათა გამოცდილებას და უწინარეს ყოვლისა — ლენინური კომკავშირის გამოცდილებას.

კონფერენციაზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე პ. ცოლტკა.

დამფუძნებელი კონფერენციის მონაწილეებმა მისასალმებელი წერილები გაუგზავნეს სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა უკრაინის კომკავშირელებსა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის ორგანიზაციებს.

ზეიმი ერაყში

ერაყის რესპუბლიკის ხალხები — არაბები და ქურთები სიხარულით შეხვდნენ ქურთების ტრადიციულ დღესასწაულს ნოურუზს. ეს დღე აღინიშნება როგორც გაზაფხულის დასაწყისი.

რესპუბლიკის დეკრეტით ნოურუზი გამოცხადდა მთელი ერაყის ეროვნულ დღესასწაულად. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ ერაყში მოწესრიგდა ქურთების პრობლემა, ბოლო მოეღო ძმათამკვლელ ომს არაბებსა და ქურთებს შორის.

სურათზე: სადღესასწაულო დემონსტრაცია ქალაქ სულეიმანიეში.

ქრაგთა გაერთიანებული რესპუბლიკა

ცვლილებანი მთავრობაში

ჰაირო, 27 აპრილი. (საკდესი). აქ გამოაქვეყნეს არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის გამალ აბდელ ნასერის დეკრეტი მოპატიჟებულ ჰასან ეინ ჰეიკალის ეროვნული ხელმძღვანელობის მინისტრად დანიშვნის შესახებ. ამასთანავე, როგორც შენის საგანგებო ეუწყება, ჰეიკალი ინარჩუნებს გზაზეი „ალ-აჰრამის“ მთავარი რედაქტორის პოსტს. ეროვნული ხელმძღვანელობის ყოფილი მინისტრი მუჰამედ ფაიეკი გახდა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი.

„მოჰამედ ჰაფეზ ისმაილი დანიშნულია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელად.

ირლანდია

ჯროვოკაციები არ წყდება

ამანი, 27 აპრილი. (საკდესი). **ისრაელის მხედრიონმა გუშინ ახალი პროვოკაცია მოაწყო იორდანიასთან ცეცხლის შეწყვეტის ხაზზე.**

როგორც აქ განაცხადა იორდანიის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა, აგრესორის თვითმფრინავებმა რაკეტები და ნაბომბის ბომბები დაუშინეს ტერიტორიას, სადაც მხოლოდ სამოქალაქო მოსახლეობა იყო. „სკაიჰოკის“ ტიპის ოთხი თვითმფრინავი 12 წუთის განმავლობაში ცეცხლს უშენდა სადგურ ვადი არბის რაიონს კფარ ას-სადის სექტორში. ამავე დროს ისრაელთა ორმა სხვა თვითმფრინავმა რაკეტები და ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინა იორდანიის არმიის პოზიციებს. იორდანიის არმიის საპაერო დაცვამ აგრესორები უკუაგდო.

ქართველ მსახიობთა წარმატება

კრაისტჩერჩი, 26 აპრილი. (საკდესი). საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებულმა ანსამბლმა აქ დაამთავრა დასკვნითი კონცერტით სამი კვირის ტურნე ახალ ზელანდიაში. საბჭოთა მსახიობების გასტროლებმა უდიდესი წარმატებით ჩაიარეს. ახალი ზელანდიის მაყურებლები ანსამბლს უაღრესად მხურვალედ შეხვდნენ, თეატრალური კრიტიკოსები კი, როგორც ახალი ზელანდიის პრესა წერს, მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან პირველ რეცენზიებშივე ამოწურეს ქების მთელი მარაგი.

დღეს ანსამბლი გაემგზავრება ავსტრალიაში, სადაც განაგრძობს გასტროლებს, გამოვა ქალაქებში ბრისბენში, კანბერაში, მელბურნსა და პერტში.

ამერიკის შეერთებული შტატები

სენატორი პაკრიტიკებს

ვაშინგტონი, 27 აპრილი. (საკდესი). **დემოკრატმა სენატორმა ედმუნდ მასკიმ მოუწოდა შეერთებული შტატების მთავრობას თავი შეიკავოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ომის შემდგომი გაფართოებისაგან და მეტი ღონისძიება იხმაროს მოწესრიგების მისაღწევად მოლაპარაკების გზით.**

გამოვიდა რა ტელევიზიით, მასკიმ გიხსენა ვიეტნამში ომის ესკალაციის ისტორია და თქვა: ჯერ ჩვენ ვგზავნით იარაღს, შემდეგ ინსტრუქტორებს, რათა აღგილობრივ ჯარისაცებს ასწავლონ ამ იარაღის ხმარება, და, ბოლოს, ვგზავნით ჯარებს. სწორედ ასეთი გზით, ხაზი გაუსვა მან, ამერიკის მთავრობამ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი ვიეტნამში 16.000 ინსტრუქტორიდან გაადიდა ნახევარმილიონიანზე მეტ არმიამდე.

მასკიმ ხაზი გაუსვა, რომ შეერთებული შტატების მიზანი უნდა იყოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის საომარ მოქმედებაში მონაწილეობის შემცირება და არა გაფართოება. მან წამოაყენა წინადადება მშვიდობის მიღწევის საქმეში იმოქმედონ დიპლომატიური არხებით, გამოიყენონ, კერძოდ, პარიზის მოლაპარაკება ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების შესახებ. ამასთან დაკავშირებით მან გააკრიტიკა მთავრობა იმისათვის, რომ, მიუხედავად განცხადებებისა, რომ ესწრაფვის პრობლემის მშვიდობიან მოწესრიგებას მოლაპარაკების გზით, პრეზიდენტ ნიქსონს დიდი ხანია არ დაუნიშნავს პარიზის მოლაპარაკებაში ამერიკის დელეგაციის მეთაურის პოსტზე საკმაოდ წარმომადგენლობითი და ავტორიტეტიანი ფიგურა.

მდგომარეობა ჰაიტში

ვაშინგტონი, 27 აპრილი, (საკდესი). **აქ მიღებული ცნობებით, მაიტის დიქტატორმა დუვალიემ, რომელიც აშკარად დაშინებულია სამი სამხედრო ხომალდის ეკიპაჟების ამბოხებით, რომლებმაც 24 აპრილს ცეცხლი დაუშინეს მის სასახლეს, ციხე-სიმაგრედ გადააქცია ქვეყნის დედაქალაქი პორტ-ო-პრენსი.** ქალაქში დაძრწიან „ტონტონ-მაკუტები“ — პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრები, რომლებიც ცნობილი არიან თავიანთი სასასტიკით. მათ უკვე დაატყვევეს 200 კაცი, რომლებსაც ემუქრება სამხედრო ტრიბუნალი.

გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ იმოწმებს დიპლომატიურ წყაროებს და წერს, რომ ჰაიტის ხელისუფლებმა შეერთებულ შტატებთანაც კი მკვეთრად შეზღუდეს საჰაერო მიმოსვლა და სატელეფონო კავშირი.

პორტ-ო-პრენსი არ იღებს უშუალო სატელეფონო გამომძახებას.

სამხრეთ ვიეტნამი

კატრიოტები უტევენ

საიგონი, 27 აპრილი. (საკდესი). **განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა აპრილის პირველ ოც დღეში სამხრეთ ვიეტნამის ანზიანგისა და რაგზიის პროვინციებში მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკა-საიგონის ჯარების 4330-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.** ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც განთავისუფლების პრესის სააგენტოს იმოწმებს.

სელესაიჯის ლენტიდან

საიუბილეო გამოფენა

ლონდონი, 27 აპრილი. (საკდესი). კარლ მარქსის სახელობის მემორიალურ ბიბლიოთეკაში გუშინ გაიხსნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია იშვიათი ფოტოსურათები, ფურცლები და გაზეთები, რომლებიც ლონდონში ვ. ი. ლენინის ყოფნის დროს დაიბეჭდა, და სხვა დოკუმენტები.

ვ. ი. ლენინის მოღვაწეობა ლონდონში მჭიდროდ არის დაკავშირებული „მარქსის სახლთან“. აქ, სოციალ-დემოკრატიულ გაზეთ „ჯასტისის“ redaქციაში, 1902-1903 წლებში ლენინი რედაქტორობდა „ისკრას“, წერდა შრომებს. 1933 წლიდან ამ ორასართულიან შენობაში, რომლის მთელი ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული ინგლისის მუშათა და სოციალისტური მოძრაობის ისტორიასთან, შეიქმნა კარლ მარქსის სახელობის ბიბლიოთეკა. დამთვალიერებელთა განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს „მარქსის სახლის“ პატარა ოთახი, რომელშიც რამდენიმე თვე მუშაობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი.

მეგობრობის მატარებლით

ბერლინი, 27 აპრილი. (საკდესი). კარლ-მარქს-შტადტის ოლქის წარმოების 330 მოწინავე და ნოვატორი გაეგზავნა მეგობრობის მატარებლით საბჭოთა კავშირში. ისინი ეწვევიან მინსკს, ლენინგრადსა და მოსკოვს.

საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩასული სტუმრები მონაწილეობას მიიღებენ პირველი მაისისა და ფაშიზმზე გამარჯვების 25 წლისთავის დღესასწაულში, მუშაობის გამოცდილებას გაუზიარებენ საბჭოთა მეგობრებს.

გადაჭრით გმობენ

ნიუ-იორკი, 27 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება რომელშიც გადაჭრით გმობს ისრაელის მილიტარიზმთან ამერიკის იმპერიალიზმის კავშირს.

შეერთებულ შტატებში, მსოფლიო იმპერიალიზმის ცენტრში, ნათქვამია განცხადებაში, სიონისტთა შოვინისტური საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლა ეროვნული ტრადიციებია, ამბობენ ამერიკელ მარქსისტ ლიდერებ. ეროვნული ტრადიციებია, ამბობენ, ზოგიერთმა ფირმამ საკმაოდ სოლიდური თანხა დახარჯა სანუკვარი პრემიის მისაღწევად.

მაგრამ მარტო მერკანტილური ინტერესები როდი ახდენს გავლენას პრემიების განაწილებაზე. არც თუ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკას. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მიმდინარე წელს „ოსკარის“ პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის მიეკუთვნათ ცილისმწამებელური ანტიკომუნისტური ფილმის ავტორებს, რომლებმაც თავიანთი „საუკეთესო ნაწარმოები“ ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის შეკვეთით შეაკოწიწეს.

პრემიების მიკუთვნების დროს ყველაზე ბოლო ადგილი უჭირავს აქტიორული და რეჟისორული ოსტატობისა და ნიჭის, ამა თუ იმ ფილმის სოციალური მნიშვნელობის საკითხებს.

მიუხედავად ამისა, „ოსკარის“ პრემიის მიკუთვნება საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ, თუ რა მიმართულებით ვითარდება ამერიკული კინო.

ამჯერად პრემია წლის საუკეთესო ფილმისათვის მიენიჭა კინოსურათს „შუაღამის კოჭბოსს“, რომელიც დადგა ჯონ შლეზინგერმა. მასში მოთხრობილია სოფელი ჭაბუაზე, რომელიც ნიუ-იორკში ჩამოვიდა „მზის ქვეშ ადგილის“ მოსაპოვებლად, მაგრამ გულქვა კაპიტალისტური ქალაქი მას თავის ჯურღმულებში აქცევს. ფილმში მთავარი როლები შესანიშნავად შეასრულეს ახალგაზრდა და მანამდე ნაკლებად ცნობილმა კინომსახიობმა ჯონ ვოიტმა და მსახიობმა დასტინ ჰოფმანმა. ჯონ შლეზინგერმა მიიღო აგრეთვე პრემია საუკეთესო რეჟისურისათვის.

საუკეთესო უცხოურ ფილმად აღიარებულ იქნა კინოფილმი „ზეტ“, რომელიც მკაცრად არის დაგმობილი საბერძნეთში სამხედრო დიქტატურის რეჟიმი. სიუჟეტი აგებულია საბერძნეთის პროგრესული პოლიტიკური მოღვაწის, პარლამენტის დეპუტატის ლამბრაკისის მოკვლაზე. ფილმ „ზეტის“ ავტორებმა მიიღეს აგრეთვე პრემია საუკეთესო რედაქტირისათვის.

წლის საუკეთესო კინომსახიობად მამაკაცთა შორის აღიარებულ იქნა ამერიკელი ეკრანის veteranი 63 წლის ჯონ ვეინი მთვრალი მარშლის (პოლიციის მოხელის) როლის შესრულებისათვის კინოფილმ „ჭეშმარიტად მტკიცე ხასიათში“. ვეინმა, რომელიც საკმაოდ პოპულარულია ამერიკაში (ორმოცი წლის მანძილზე მან 250 როლი ითამაშა), „ოსკარი“ პირველად მიიღო.

კინომსახიობ ქალთა შორის საუკეთესოდ ცნეს ახალგაზრდა ინგლისელი მსახიობი მეგი სმიტი, რომელსაც „ოსკარი“ მიენიჭა მასწავლებლის როლის შესრულებისათვის ფილმში „ქალბატონ ბროდის აყვავება“.

6. 3. ანთელავა



გარდაიცვალა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ლენინური პრემიის ლაურეატი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სკკპ წევრი 1946 წლიდან, პროფესორი ნიკოლოზ ვასრდენის-ძე ანთელავა.

ნ. ანთელავა დაიბადა 1893 წელს ქალაქ ზუგდიდში. 1920 წელს დაამთავრა დონის როსტოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. შემდეგ კი ქირურგის სპეციალობას დაეუფლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის ჰოსპიტალური ქირურგიის კლინიკაში, რომელსაც საქართველოს მეცნიერული ქირურგიის პირველი ფუძემდებელი გ. მუხაძე ხელმძღვანელობდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ნ. ანთელავა ჩავიდა ზუგდიდში და იმ ხანად ძალიან ძნელ პირობებში გზა გაუკაფა ქირურგიულ დახმარებასა და საქმიანობას დასავლეთ საქართველოში.

1923 წელს ნ. ანთელავა მივლინებულ იქნა გერმანიაში, ბირის კლინიკაში ფილტვების ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობის ახალი მეთოდების შესასწავლად. გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ ნ. ანთელავამ ზუგდიდში განაგრძო ნაყოფიერი პრაქტიკული საქმიანობა და იმავე დროს მეცნიერული კვლევა-ძიებაც დაიწყო.

1928 წელს სადოქტორო დისერტაციის მასალის შესაგროვებლად მივლინებულ იქნა ლენინგრადში სამხედრო-სამედიცინო აკადემიის ოპერატიული ქირურგიისა და ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრაზე, რომელსაც პროფესორი ვ. ნ. შევკუნენკო ხელმძღვანელობდა. ნ. ანთელავამ ლენინგრადში მუშაობის დროს დაამუშავა სელექტური თორაკოპლასტიკის ვარიანტები, როგორც ფილტვების ზედა ნაწილის ტუბერკულოზის მკურნალობის მეთოდი, და წამოაყენა თორაკოპლასტიკის ორიგინალური ვარიანტები, რომლებსაც დიდი მოწონება ხვდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

1929-1935 წლებში ნ. ანთელავა მუშაობდა სოხუმის ქალაქის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ. იმავე წლებში იყო რამდენიმე ტუბერკულოზური სანატორიუმის ქირურგი-კონსულტანტი. აბასთუმნის № 1 და „არაზინდოს“ სანატორიუმებში ჩამოაყალიბა ქირურგიული განყოფილებები.

1935 წელს ნ. ანთელავა არჩეულ იქნა თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიული კათედრის პრივატ-დოცენტად. იმავე წელს თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში დიდი წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე — „ქირურგიული მკურნალობის ახალი გზები ფილტვის ზედა ნაწილის ტუბერკულოზის დროს“.

1937 წელს არჩეულ იქნა დაღესტნის სამედიცინო ინსტიტუტის ზოგადი ქირურგიის კათედრის გამგედ, 1941 წელს კი თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ქირურგიული კათედრის გამგედ, სადაც იგი მუშაობდა სიცოცხლის ბოლომდე.

კათედრის გამგეობასთან შეთავსებით ნ. ანთელავა სხვადასხვა დროს სხვადასხვა პასუხსაგებ სამუშაოებსაც ასრულებდა. 1945 წელს მუშაობდა სამამულო ომის ინვალიდთა საავადმყოფოს დირექტორად, სადაც ქირურგიული კლინიკის ბაზა ჰქონდა, 1946-1951 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული ქირურგიისა და პემატოლოგიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ მუშაკად მუშაობდა, 1940-1945 წლებში კი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარ ქირურგად და სხვ.

მთელი თავისი საექიმო მოღვაწეობის განმავლობაში ნ. ანთელავა, დიდ პრაქტიკულ-საორგანიზაციო საქმიანობასა და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, მრავალმხრივ და ფრიად ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ეწეოდა. ჯერ კიდევ 1928 წელს დაადგინა თორაკოპლასტიკის ორიგინალური ვარიანტები, რამაც დიდად შეუწყო ხელი ფილტვების ზედა ნაწილის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობის განვითარებას. 1932 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი მონოგრაფია ფილტვების ზედა ნაწილის ტუბერკულოზის ქირურგიული მკურნალობის ახალი გზების შესახებ. 1939 წელს გამოვიდა მისი წიგნი — „ფილტვის ტუბერკულოზის ოპერაციული კოლაფსოთერაპია“. 1948 წელს გამოვიდა მისი წიგნი „ფილტვებისა და პლევრის ქირურგია“, რომელსაც ს. პ. ფედოროვის სახელობის პრემია მიენიჭა. ნ. ანთელავას დიდმა გამოცდილებამ გულმკერდის ღრუს ორგანოების ქირურგიულ მკურნალობაში ნათელი გამოხატულება პპოვა 1952 წელს გამოსულ მის სახელმძღვანელოში — „გულმკერდის ორგანოთა ქირურგია“, რომელიც მალე უცხოურ ენებზე ითარგმნა.

საბჭოთა კავშირში ნ. ანთელავამ ერთმა პირველთაგანმა შეისწავლა ბრუცელოზის ქირურგიული მკურნალობის საკითხები, რომელსაც რამდენიმე საინტერესო შრომა მიუძღვნა, მათ შორის ორი მონოგრაფია.

აკადემიკოს ნ. ანთელავას კალამს 200-ზე მეტი შრომა ეკუთვნის ზოგადი და გულმკერდის ქირურგიის აქტუალურ საკითხებზე, რომელთაგან 13 მონოგრაფიაა.

ნ. ანთელავა პოულობდა დროს საზოგადოებრივი მუშაობისთვისაც. იგი არჩეული იყო ქირურგთა საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრად, ფთიზიატრთა საკავშირო და თბილისის საზოგადოების საპატიო წევრად, იყო საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, ქირურგთა საერთაშორისო საზოგადოების ნამდვილი წევრი, პიემონტის (იტალიის) ქირურგთა საზოგადოების საპატიო წევრი, ჩეხოსლოვაკიის პურკინეის სახელობის საზოგადოების საპატიო წევრი, ეუნანლების — „ქირურგია“, „გულმკერდის ქირურგია“ და „საბჭოთა მედიცინას“ სარედაქციო საბჭოების წევრი, წლების განმავლობაში იყო თბილისის ოქტომბრის რაისაბჭოს დეპუტატი და სხვ.

1957 წელს ნ. ანთელავას მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. 1960 წელს დაჯილდოებულ იქნა დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. ნ. ანთელავას მეცნიერული და საზოგადოებრივი დამსახურების უმაღლესი მაჩვენებელი ის არის, რომ 1961 წელს ფილტვების დაავადებათა ქირურგიული მკურნალობის მეთოდების დამუშავებისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის მას ლენინური პრემია მიენიჭა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ნ. ანთელავამ ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის 1 ქირურგიული კლინიკის ბაზაზე ჩამოაყალიბა გულმკერდის ქირურგიის ცენტრი და გულმკერდის ქირურგიის სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორია შექმნა, სადაც საქართველოს სინამდვილეში პირველად განახორციელა ოპერაცია მშრალ გულზე, ექსტრაკორპოლარული სისხლის მიმოქცევის მეშვეობით, თანდაყოლილი და შეძენილი გულის მანკების დროს.

ნ. ანთელავას მრავალმხრივი და ნაყოფიერი საქმიანობა საბჭოთა ხელისუფლებამ დიდად დააფასა. იგი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და წითელი ვარსკვლავის ორდენით, ოთხი მედლით.

აკადემიკოს ნ. ანთელავას სახით საქართველოს საზოგადოებამ დაკარგა უმაღლესი კვალიფიკაციის მკურნალი ექიმი, გამოჩენილი დასტატარი, ცნობილი მეცნიერი, დაუღალავი მკვლევარი, გულისხმიერი პედაგოგი და გულითადი მეგობარი.

ნ. ანთელავას ნათელი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება მისი მეგობრებისათვის, მოწაფეებისათვის, ყველა იმათთვის, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტი, საქართველოს ქირურგთა სამეცნიერო საზოგადოება.

ნ. ვ. ანთელავას დამკრძალავი კომისიისაგან

ნ. ვ. ანთელავას სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 28-29 აპრილს განსვენებულის ბინაზე, პეკინის ქ. № 2, 19 საათზე.

გამოსვენება ბინიდან 30/IV-ს 17 საათზე. დაკრძალვა მოხდება მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდების პანთეონში.

ფრანგი ხალხის შვილი

ეს უნიკალური დოკუმენტი, რომელიც აქ ფოტოსურათზეა აღბეჭდილი, აღმოჩენილ იქნა საფრანგეთში პიტლერელ და ვიშისტ დამსჯელთა საიდუმლო არქივებში. ეს დოკუმენტია დაპატიჟრების სპეციალური ორდერი, რომელიც ნაცისტთა უშიშროების სამსახურს — სდ-ს გაუცია 1942 წლის 16 აპრილს. ორდერის ტექსტი ასეთია: „საფრანგეთის ოკუპირებულ რაიონებში, ბელგიისა და ჰოლანდიის ტერიტორიაზე ებინსია და დაპატიმრებათა სამმართველო.

ობიექტი: ორდერი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მორის ტორეზის დასაპატიმრებლად. დაბადებულია 1900 წლის 28 აპრილს ნუაელ-გოდოში. მისი იატაკქვეშა პარტიული სახელები შემდეგია: ჟორჟ მონტეი, ვან კამპენხუტი, ხუან სამბეიტი, ალბერტ შამელი.

მორის ტორეზის დაბადების 70 წლისთავი

თანახმად ჩვენს მიერ მიღებული საიდუმლო ინფორმაციისა, ფრანგ კომუნისტთა ხელმძღვანელი თითქოს რვა დღის წინათ ჩამოსულა უკან შვეიცარიიდან და დიეჟუნში იმყოფება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის მოღვაწეებთან შესახვედრად. შემდეგ მორის ტორეზი თითქოს აპირებს პარიზში წავიდეს.

შეიძლება დავუშვათ, რომ მორის ტორეზი მართლაც იმყოფება დასავლეთი რაიონების ოკუპირებულ ზონაში. მისი შეპყრობა უნდა ეუწყოს ძებნისა და დაპატიმრებათა სამმართველოს ხელმძღვანელობას.

რამდენადაც მორის ტორეზის პიროვნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მის შესაპყრობად გამოყენებულ უნდა იქნას ყველა საშუალება“.

როგორც ორდერზე დასმული ბეჭედიდან ჩანს, ეს დოკუმენტი საიდუმლო სამხედრო პოლიციაში მიღებულ იქნა 1942 წლის 20 აპრილს მორის ტორეზის ფოტოსურათთან ერთად. უშიშროების სამსახურის სამსახურის აგენტები, გესტაპოელები, პოლიციის უხარმაზარი აპარატი, შემდეგ კი ჰიტლერელთა პეტენელი ხელქვეითებიც საფრანგეთის კომუნისტთა აღიარებულ ხელმძღვანელს გაფაციცებით დაეძებდნენ უკვე 1940 წლის ივლისიდან — საფრანგეთის დამარცხებისთანავე. ჯალათების გულმოდგინება ადგილი გასაგებია.

მეორე მსოფლიო ომის პირველი დღეებიდანვე საფრანგეთის კომპარტია ტორეზის მეთაურობით იატაკქვეშეთის უძნელეს პირობებში გამოვიდა როგორც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ხალხის ბრძოლის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. საფრანგეთის მსხვლმა ბურჟუაზიამ, რომელიც კლასობრივი სიძულვილის გრძნობის გამო დამარცხების მომხრე იყო, საფრანგეთი ჰიტლერს ჩაუგდო ხელში. იგი ვარაუდობდა დამარცხების გზით საფრანგეთისათვის თავს მოეხვია ფაშიზმი მარშალ პეტენის მეთაურობით. პასუხად გამცემლობის ამ პოლიტიკისა, რომელმაც პეტენი „გაულიტერად“ გადააქცია, გაჩაღდა ხალხის გმირული წინააღმდეგობა.

1940 წლის 10 ივლისს, იმ დროს, როცა პარლამენტი ვიშში შეიკრიბა უკომუნისტდეპუტატებოდ, რომლებიც საპყრობილეებში დამწყვდეული ან იატაკქვეშეთში გადასული იყვნენ, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი გამოვიდა ისტორიული მოწოდებით, რომელსაც ხელს აწერდნენ მორის ტორეზი და ჟაკ დიუკლო. ამ ამაღელვებელმა მახიფესტმა ფრანგ ხალხს მოუწოდა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, მუშათა კლასის გარშემო თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და საფრანგეთის აღორძინების ფრონტის შექმნისაკენ.

შემდეგში ჟ. დიუკლო წერდა „10 ივლისის მოწოდებით აღინიშნა პატრიოტული ავანგარდის ორგანიზაციის დასაწყისი“. ჰიტლერელები არ შემცდარან კომპარტიის მოწოდების მნიშვნელობის შეფასებაში. უკვე 1940 წლის ივლისში პარიზში დაპატიმრეს კომპარტიის 300 აქტივისტი, რომელთაგან ბევრნი შემდეგში შატობრიანში დაიღუპნენ ნაცისტი მტარვალების ტყვეთით. წინააღმდეგობის მოძრაობის პირველ რიგებში იდგა საფრანგეთის კომპარტია ტორეზის მეთაურობით. თავისუფლებისათვის ბრძოლაში 75 ათასი ფრანგი კომუნისტი დაიღუპა.

დღეს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს საფრანგეთისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის მორის ტორეზის დაბადების 70 წლისთავს. თითქმის სამნახევარი ათეული წლის განმავლობაში ეს უდრეკი ლენინელი უცვლელად იყო საფრანგეთის სახელოვანი კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის სპატიო და პასუხსაგებ პოსტზე. ტორეზის მჩქეფარე მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი იმას, რომ კომუნისტური პარტია პირველხარისხოვანი პოლიტიკური ფაქტორი გახდა საფრანგეთში.

„მეშახტე მუშამ მორის ტორეზმა შეძლო საფრანგეთის მშრომელთა საუკეთესო ეროვნული ტრადიციები, რომლებიც მოდიან ლაფარგის მუშათა პარტიისაგან, ბრძოლით აღსავსე წარსულისაგან, გაეერთიანებინა ოქტომბრის გაკვეთილებთან, ლენინურ მოძღვრებასთან“. ასე წერს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „კაიე დიუ კომუნისმ“-ში პარტიის გენერალური მდივანი ვალდეკ როშე.

...დიდი ფილოსოფოსი ვოლტერი წერდა: „ვისაც თავისუფლება და ჭეშმარიტება არ უყვარს... არასოდეს არ იქნება დიდი ადამიანი“. ტორეზის მთელმა გმირულმა ცხოვრებამ იგი დიდი კომუნისტი, დიდი ფრანგი გახადა.

ტორეზის მშვენიერი სიცოცხლე საფრანგეთის მუშათა კლასისა და მთელი ხალხის საარსებო ინტერესებისადმი ერთგული სამსახურის, ფაშიზმისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმისათვის ბრძოლის ნიმუშია.

ბ. სალაძე.



„ოსკარი-70“

ამას წინათ ჰოლივუდში „დიდი დღე“ იყო. აქ კინოხელოვნების დარგში ყოველწლიური პრემიების — ეგრეთწოდებული „ოსკარის“ პრემიების მინიჭების საზეიმო ცერემონიაზე შეიკრიბა მრავალი ამერიკელი კინოვარსკვლავი, კინოინდუსტრიის კაპიტანი, ჟურნალისტი.

„ოსკარის“ მინიჭება რამდენადმე კომერციული საქმეა. მიაჩნიათ, მაგალითად, რომ წლის იმ საუკეთესო ფილმის ჩვენებით, რომელსაც პრემია მიენიჭება, შეიძლება შემოსავალი ორი-ოთხი მილიონი დოლარით გაიზარდოს. ამიტომ ამჟამად, როცა ჰოლივუდი როგორც შემოქმედებითი, ისე ფინანსური თვალსაზრისით სერიოზულ კრიზისს განიცდის, კინოკომპანიებს შორის ბრძოლა „ოსკარისათვის“ განსაკუთრებით დაძაბული იყო, და, როგორც ჰოლივუდის კულუარებში ამბობენ, ზოგიერთმა ფირმამ საკმაოდ სოლიდური თანხა დახარჯა სანუკვარი პრემიის მისაღწევად.

მაგრამ მარტო მერკანტილური ინტერესები როდი ახდენს გავლენას პრემიების განაწილებაზე. არც თუ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკას. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ მიმდინარე წელს „ოსკარის“ პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმისათვის მიეკუთვნათ ცილისმწამებელური ანტიკომუნისტური ფილმის ავტორებს, რომლებმაც თავიანთი „საუკეთესო ნაწარმოები“ ამერიკის შეერთებული შტატების საინფორმაციო სამსახურის შეკვეთით შეაკოწიწეს.

პრემიების მიკუთვნების დროს ყველაზე ბოლო ადგილი უჭირავს აქტიორული და რეჟისორული ოსტატობისა და ნიჭის, ამა თუ იმ ფილმის სოციალური მნიშვნელობის საკითხებს.

მიუხედავად ამისა, „ოსკარის“ პრემიის მიკუთვნება საშუალებას გვაძლევს გავერკვეთ, თუ რა მიმართულებით ვითარდება ამერიკული კინო.

ამჯერად პრემია წლის საუკეთესო ფილმისათვის მიენიჭა კინოსურათს „შუაღამის კოჭბოსს“, რომელიც დადგა ჯონ შლეზინგერმა. მასში მოთხრობილია სოფელი ჭაბუაზე, რომელიც ნიუ-იორკში ჩამოვიდა „მზის ქვეშ ადგილის“ მოსაპოვებლად, მაგრამ გულქვა კაპიტალისტური ქალაქი მას თავის ჯურღმულებში აქცევს. ფილმში მთავარი როლები შესანიშნავად შეასრულეს ახალგაზრდა და მანამდე ნაკლებად ცნობილმა კინომსახიობმა ჯონ ვოიტმა და მსახიობმა დასტინ ჰოფმანმა. ჯონ შლეზინგერმა მიიღო აგრეთვე პრემია საუკეთესო რეჟისურისათვის.

საუკეთესო უცხოურ ფ

კომუნისტი
სპორტი

„ჰერკულესების“ ფიცარნაგზე

საკავშირო ჩემპიონატს ძალოსნობაში ფინეთი კვირას ჰქონდა. ვილნიუსის ფიცარნაგი ჩვენი შტანგისტებისათვის სასურველი აღმოჩნდა — ათი მსოფლიო და ორი საკავშირო რეკორდი მართლაც რომ ტრიუმფია. საბჭოთა ძალოსნების დიდ ოჯახს შეემატნენ ახალგაზრდა სპორტსმენები, რომლებსაც იერიშები მოაქვთ მსოფლიოს რეკორდებზე, პირველ რიგში „უნდა აღვნიშნოთ რიგელ გ. ივანჩენკოს, პერვოურალსკელ ვ. კოლოტოვისა და შახტელ ვ. ალექსეევის წარმატებები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა კვირის შეხვედრები. ამ დღეს პაექრობა ჰქონდათ მძიმე წონის შტანგისტებს. ეს შეჯიბრება გადაიქცა მსოფლიოს ნომერ პირველი „ჰერკულესის“, 28 წლის შტანგისტის ვ. ალექსეევის ბენეფისად. მან უკვე გადააბიჯა ექვსასა კილოგრამიან ზღუდეს და ახალი მსოფლიო რეკორდები დაამყარა. სამჭიდში ვ. ალექსეევის შედეგია 607,5 კილოგრამი. მან აჭიმა 216 კილოგრამი, აკრა 223,5 კილოგრამი და თითო კილოგრამით გადაჭარბა ამას წინათ ბელგიელი ძალოსნის ს. რედინგის რეკორდებს. ამრიგად, მეორე მძიმე წონაში მსოფლიოს ყველა რეკორდი საბჭოთა შტანგისტებს ეკუთვნით.

ვ. ალექსეევი პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ს. ბატაშჩევმა — 582,5 კილოგრამი, ბრინჯაოსი — ნ. კოზინცევმა — 545 კილოგრამი.

პირველ მძიმე წონაში წარმატება ხვდა კ. უტსარს, რომელმაც სამჭიდში აჩვენა შედეგი 545 კილოგრამი. მომდევნო ორი საპრიზო ადგილი მოიპოვეს ვ. იაკუბოვსკიმ (540 კილოგრამი) და ი. იაბლონოვსკიმ (525 კილოგრამი).

მატჩები და შედეგები

26 და 27 აპრილს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მერვე ტურის მატჩები ფეხბურთში უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის.

კმირას მოსკოვში სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკის“ წინააღმდეგ თამაშობდა დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი. წარმატება როსტოველებს ხვდათ ანგარიშით 3:1.

ბუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბისა და ვოროშილოვგრადის „ზარიას“ გუნდები. გაიმარჯვა ცსკა-მ 4:0.

მეცხრე ტურის შეხვედრები შედგება 2 და 3 მაისს.

ახალი ჩემპიონები

ნოვოსიბირსკში დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში ხუთ წონითს კატეგორიაში.

მჩატე წონაში ჩემპიონი გახდა მოსკოველი გ. დმიტრიევი. ვერცხლის მედალი მოიპოვა ა. ნასრულაევმა (მახაჩყალა), ბრინჯაოსი — პ. პო